

2021

შპს “ეი ბი ემ” და მისი შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე .	2
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები	10

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს „ეი-ბი ემ“-ის ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს)“ შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს ჯგუფის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ("მსს ფასს") მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2022 წლის 1 ივლისს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი
ალექსანდრე ხეთერელი

2022 წლის 01 ივლისი
თბილისი, საქართველო

მთ. ბუღალტერი
თათია შავერდაშაშვილი

2022 წლის 01 ივლისი
თბილისი, საქართველო

შპს „ეი-ბი ემ“

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს „ეი-ბი ემ“-ის ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს)“ შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევისა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს ჯგუფის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ("მსს ფასს") მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2022 წლის 1 ივლისს.

მენეჯმენტის სახელით:


დირექტორი
ალექსანდრე ხეთერელი

2022 წლის 01 ივლისი
თბილისი, საქართველო



მთ. ბუღალტერი
თათია შავერდაშაშვილი

2022 წლის 01 ივლისი
თბილისი, საქართველო

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

(ლარში)	შენიშვნა	31/12/2021	31/12/2020
ამონაგები	6	52,820,223	48,387,028
თვითღირებულება		(38,363,445)	(33,937,746)
საერთო მოგება		14,456,778	14,449,282
სხვა შემოსავლები		2,256,316	1,167,115
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	7	(9,648,816)	(4,590,983)
სხვა ხარჯები	10	(991,827)	(2,042,745)
საოპერაციო მოგება		6,072,451	8,982,669
ფინანსური შემოსავალი	8	15,285	12,156
ფინანსური ხარჯი	9	(416,809)	(424,290)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(401,525)	(412,134)
მოგება დაბეგრამდე		5,670,926	8,570,535
მოგების გადასახადი		(7,756)	(80,235)
პერიოდის მოგება		5,663,170	8,490,300
სხვა სრული შემოსავალი: შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით			
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		5,663,170	8,490,300

დამტკიცებულია გამოსაშვებად 2022 წლის 1 ივლისს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:



დირექტორი - ალექსანდრე ხეთერელი




მთ. ბუღალტერი - თათია შავერდაშვილი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	11	534,971	1,331,375	886,487
არამატერიალური აქტივები	12	1,193	1,352	1,511
სულ გრძელვადიანი აქტივები		536,165	1,332,727	887,997
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	15	2,962,170	1,549,726	10,509
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	14	18,544,860	9,768,743	1,785,895
მარაგები	13	7,380,041	3,813,937	2,136,576
გაცემული სესხები		2,375,653	414,098	-
მისაღები პროცენტები		2,678	11,936	705
სულ მოკლევადიანი აქტივები		31,265,400	15,558,439	3,933,685
მთლიანი აქტივები		31,801,565	16,891,166	4,821,682
მთლიანი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		14,067,909	8,448,689	830
სულ კაპიტალი		14,067,909	8,448,689	830
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	16	3,402,121	2,915,403	1,245,960
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,402,121	2,915,403	1,245,960
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები		-	500,000	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	17	14,130,482	4,548,522	3,156,684
საგადასახადო ვალდებულებები		201,053	478,552	21,493
გადასახდელი პროცენტი		-	-	73,316
გადასახდელი დივიდენდი		-	-	323,400
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		14,331,535	5,527,074	3,574,893
მთლიანი ვალდებულებები		17,733,656	8,442,477	4,820,853
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		31,801,565	16,891,166	4,821,682

დამტკიცებულია გამოსაშვებად 2022 წლის 1 ივლისს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:



დირექტორი - ალექსანდრე ხეთერელი



მთ. ბუღალტერი - თათია შავერდაშვილი


კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019წლის 31 დეკემბერი	830	830
მოგება წლის ბოლოს	8,490,300	8,490,300
გაცემული დივიდენდი	(42,441)	(42,441)
2020წლის 31 დეკემბერი	8,448,689	8,448,689
მოგება წლის ბოლოს	5,663,170	5,663,170
გაცემული დივიდენდი	(43,950)	(43,950)
2021წლის 31 ივლისი	14,067,909	14,067,909

დამტკიცებულია გამოსაშვებად 2022 წლის 1 ივლისს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:



დირექტორი - ალექსანდრე ხეთერელი



მთ-ბუღალტერი - თათია შავერდაშვილი

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მოგება დაბეგრამდე	5,670,926	8,570,535
კორექტირებები:	-	-
მოგების გადასახადი	7,756	80,235
ცვეთა და ამორტიზაცია	(163,507)	(155,407)
ძირითადი საშუალებების გასვლა	(942,793)	(5,138)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება	(134,523)	(1,430)
საკუროსო სხვაობის ზარალი (მოგება)	(12,420)	(75,509)
საპროცენტი შემოსავალი	(15,285)	(12,156)
საპროცენტი ხარჯი	416,809	424,290
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება /(ზრდა)	(7,731,667)	(6,655,405)
სხვა აზრივების შემცირება ზრდა	(1,497,425)	(315,777)
მარაგების შემცირება/ (ზრდა)		(1,677,361)
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/ (შემცირება)	(289,457)	457,059
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	5,333,189	1,391,838
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული ფული	641,603	2,025,773
მიღებული პროცენტი	-	-
გადახდილი პროცენტი	(416,809)	(424,290)
გადახდილი მოგების გადასახადი	(7,756)	(80,235)
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ფული	217,038	1,521,248
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	796,404	(444,888)
არამატერიალური აქტივის შეძენა/გასვლა	159	159
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული	942,793	5,138
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფული	1,739,355	(439,591)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
საბანკო სესხების წმინდა ცვლილება	(500,000)	500,000
გადახდილი დივიდენდები	(43,950)	(42,441)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფული	(543,950)	457,559
ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა (შემცირება)	1,412,444	1,539,216
წლის დასაწყისში	1,549,726	10,509
წლის ბოლოს	2,962,169	1,549,726

დამტკიცებულია გამოსაშვებად 2022 წლის 01 ივლისს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ალექსანდრე ხეთერელი

მთ. ბუღალტერი - თაზი შავერდამილი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ეი-ბი ემ“-ის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ეი-ბი ემ“-ის და მისი შვილობილის (შემდგომ „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

ჩვენ ჯგუფის აუდიტორებად არ დაგვნიშნეს 2021 წლის 31 დეკემბრამდე და, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2021 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 7,380,041 ლარის ღირებულებებით (2020 წლის 31 დეკემბერი: 3,819,937 ლარი). აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება მარაგების თვითღირებულებაში ასახვის სიზუსტის დადასტურება.

აუდიტს წარემართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლს შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად თანხვედნილი ფინანსურ ანგარიშგებასთან და არის თუ არა

მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის განცხადება. ამასთან დაკავშირებით, არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და აუდიტის პროცესში პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოს სამართლიანი წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფისა და ოპერაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ზაზა ტრიპოლსკი.

ზაზა ტრიპოლსკი, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-760877)

შპს „ზეტ და კომპანია“ (SARAS-F-437249)

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი, 2022

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამისი ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოს სამართლიანი წარდგენა.
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფისა და ოპერაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ზაზა ტრიპოლსკი.

ზაზა ტრიპოლსკი, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-760877)

შპს „ზეტ და კომპანია“ (SARAS-F-437249)

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი, 2022



სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

(ლარში)	შენიშვნა	31/12/2021	31/12/2020
ამონაგები	6	52,820,223	48,387,028
თვითღირებულება		(38,363,445)	(33,937,746)
საერთო მოგება		14,456,778	14,449,282
სხვა შემოსავლები		2,256,316	1,167,115
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	7	(9,648,816)	(4,590,983)
სხვა ხარჯები	10	(991,827)	(2,042,745)
საოპერაციო მოგება		6,072,451	8,982,669
ფინანსური შემოსავალი	8	15,285	12,156
ფინანსური ხარჯი	9	(416,809)	(424,290)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(401,525)	(412,134)
მოგება დაბეგრამდე		5,670,926	8,570,535
მოგების გადასახადი		(7,756)	(80,235)
პერიოდის მოგება		5,663,170	8,490,300
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით			
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		5,663,170	8,490,300

დამტკიცებულია გამოსაშვებად 2022 წლის 1 ივლისს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ალექსანდრე ხეთერელი

მთ. ბუღალტერი - თათია შავერდაშვილი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	11	534,971	1,331,375	886,487
არამატერიალური აქტივები	12	1,193	1,352	1,511
სულ გრძელვადიანი აქტივები		536,165	1,332,727	887,997
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	15	2,962,170	1,549,726	10,509
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	14	18,544,860	9,768,743	1,785,895
მარაგები	13	7,380,041	3,813,937	2,136,576
გაცემული სესხები		2,375,653	414,098	-
მისაღები პროცენტები		2,678	11,936	705
სულ მოკლევადიანი აქტივები		31,265,400	15,558,439	3,933,685
მთლიანი აქტივები		31,801,565	16,891,166	4,821,682
მთლიანი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		14,067,909	8,448,689	830
სულ კაპიტალი		14,067,909	8,448,689	830
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	16	3,402,121	2,915,403	1,245,960
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,402,121	2,915,403	1,245,960
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები		-	500,000	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	17	14,130,482	4,548,522	3,156,684
საგადასახადო ვალდებულებები		201,053	478,552	21,493
გადასახდელი პროცენტი		-	-	73,316
გადასახდელი დივიდენდი		-	-	323,400
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		14,331,535	5,527,074	3,574,893
მთლიანი ვალდებულებები		17,733,656	8,442,477	4,820,853
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		31,801,565	16,891,166	4,821,682

დამტკიცებულია გამოსაშვებად 2022 წლის 1 ივლისს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ალექსანდრე ხეთერელი

მთ. ბუღალტერი - თათია შავერდაშვილი

კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019წლის 31 დეკემბერი	830	830
მოგება წლის ბოლოს	8,490,300	8,490,300
გაცემული დივიდენდი	(42,441)	(42,441)
2020წლის 31 დეკემბერი	8,448,689	8,448,689
მოგება წლის ბოლოს	5,663,170	5,663,170
გაცემული დივიდენდი	(43,950)	(43,950)
2021წლის 31 ივლისი	14,067,909	14,067,909

დამტკიცებულია გამოსაშვებად 2022 წლის 1 ივლისს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ალექსანდრე ხეთერელი

მთ. ბუღალტერი - თათია შავერდაშვილი

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მოგება დაბეგრამდე	5,670,926	8,570,535
კორექტირებები:	-	-
მოგების გადასახადი	7,756	80,235
ცვეთა და ამორტიზაცია	(163,507)	(155,407)
ძირითადი საშუალებების გასვლა	(942,793)	(5,138)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება	(134,523)	(1,430)
საკურსო სხვაობის ზარალი (მოგება)	(12,420)	(75,509)
საპროცენტი შემოსავალი	(15,285)	(12,156)
საპროცენტი ხარჯი	416,809	424,290
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება / (ზრდა)	(7,731,667)	(6,655,405)
სხვა აზრივების შემცირება ზრდა	(1,497,425)	(315,777)
მარაგების შემცირება/ (ზრდა)		(1,677,361)
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/ (შემცირება)	(289,457)	457,059
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/ (შემცირება)	5,333,189	1,391,838
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული ფული	641,603	2,025,773
მიღებული პროცენტი	-	-
გადახდილი პროცენტი	(416,809)	(424,290)
გადახდილი მოგების გადასახადი	(7,756)	(80,235)
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ფული	217,038	1,521,248
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	796,404	(444,888)
არამატერიალური აქტივის შეძენა/გასვლა	159	159
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული	942,793	5,138
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფული	1,739,355	(439,591)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
საბანკო სესხების წმინდა ცვლილება	(500,000)	500,000
გადახდილი დივიდენდები	(43,950)	(42,441)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფული	(543,950)	457,559
ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა (შემცირება)	1,412,444	1,539,216
წლის დასაწყისში	1,549,726	10,509
წლის ბოლოს	2,962,169	1,549,726

დამტკიცებულია გამოსაშვებად 2022 წლის 01 ივლისს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ალექსანდრე ხეთერელი

მთ. ბუღალტერი - თათია შავერდაშვილი

შპს „ეი ბი ემ“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართული ლარი)

1. ჯგუფი და მისი საქმიანობა

შპს „ეი-ბი ემ“, ს.ნ. 404917328 არის 2011 წლის 7 ნოემბერს დაფუძნებული კომპანია. კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება“. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. 18, ბ. 16.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: სამედიცინო აპარატურის იმპორტი და რეალიზაცია; ლაბორატორიის სახარჯი მასალების იმპორტი და რეალიზაცია.

კომპანიის დამფუძნებლები (მესაკუთრეები) არიან იურიდიული პირი და ფიზიკური პირები: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ი.მ.ჯ. -33.4%, ალექსანდრე ხეთერელი-33.3%, ალონ ეშედი (ისრაელი)-33.3%.

კომპანიის დირექტორს წარმოადგენს ალექსანდრე ხეთერელი.

შპს „ეი-ბი ემ“-ს შექმნილი აქვს შვილობილი კომპანია-შპს „ფორჯენიქსი“, ს.ნ. 405492603, სადაც დედა კომპანია ფლობს 100% წილს. შპს „ფორჯენიქსის“ დირექტორია ასევე ალექსანდრე ხეთერელი.

შპს „ფორჯენიქსი“ დაფუძნდა 2021 წლის 15 ნოემბერს. მისი საქმიანობის სფერო ზუსტად ანალოგიურია, რაც დედა კომპანიის.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, ეროვნულ ვალუტაში და მრგვალდება უახლოეს მთელ რიცხვამდე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს ვალუტა ყველაზე მისაღებია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის და კარგად ასახავს ჯგუფის მოვლენებისა და ოპერაციების ეკონომიკურ შინაარსს. ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე თუ სხვა რამ არაა აღნიშნული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სჯერათ, რომ არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ჯგუფის ფუნქციონირებადობას, შესაბამისად საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია.

გასული პერიოდების საქმიანობის შედეგად ჯგუფის წმინდა მოგება მნიშვნელოვნად გაიზარდა, ჯგუფს აქვს მნიშვნელოვანი ფინანსური მოთხოვნები, დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან და მოცულობითი ღირებულების აქტივები. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია აღნიშნული დაშვებით.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ინფორმაციას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;

შპს „ეი ბი ემ“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართული ლარი)

- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებები მომხდარი.

როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზრდასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღება საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შეთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით.

ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადადის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის 2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს გამოყენებულია შემდეგი გაცვლითი კურსები:

შპს „ეი ბი ემ“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართული ლარი)

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ლარი/1 აშშ დოლარი	3.0976	3.2766
ლარი/1 ევრო	3.5040	4.0233

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

შემოსავლის აღიარება

სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ამონაგები აღიარდება, როდესაც (ან როგორც კი) პირი შეასრულებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან/და მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემით გზით. საქონელი ან/და მომსახურება გადაცემულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, როდესაც (ან როგორც კი) მომხმარებელი მოიპოვებს მოცემულ აქტივზე კონტროლს.

შემოსავალი აღიარდება მომავალში მისაღები თანხების სამართლიანი ღირებულებით რაც ასახავს სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ან/და მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მოსალოდნელ მისაღებ საზღაურს, რომლიდანაც გამორიცხულია, ფასდაკლება, უკან დაბრუნება და დამატებული ღირებულების გადასახადი.

კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება შესასრულებელ ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან როგორც კი) კომპანია შესასრულებელ ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს შესასრულებელი ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

ჯგუფის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შეფასება

შპს „ეი ბი ემ“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართული ლარი)

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, კომპანია სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

იმისათვის რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულია იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით. (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

- ჯგუფი აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:
- ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირ თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას. მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

შპს „ეი ბი ემ“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართული ლარი)

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან
- (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი;

(ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა). სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

შპს „ეი ბი ემ“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართული ლარი)

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსურ ივალდებულებები, გარდა სესხის და ფინანსური გარანტიებისა, აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით, როდესაც მათ ფლობენ სავაჭროდ, ან დერივატიულ ინსტრუმენტებად, ან გამოიყენება სამართლიანი ღირებულებით აღნიშვნა.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ვალდებულების გასტუმრება, გაუქმება ან ვადის ამოწურვა.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება მოხდება ახლით, იგივე მსესხებლისგან, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დაკორექტირდება საგრძნობლად, მსგავსი გადაცვლა ან კორექტირება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, სხვაობა შესაბამის მიმდინარე ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

შეზღუდული ნაშთები შედის ფულად საშუალებებში ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივი.

სახელშეკრულებო აქტივები

სახელშეკრულებო აქტივები და სახელშეკრულებო ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი და განისაზღვრება კონტრაქტის დონეზე. სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები თითოეული შესრულების ვალდებულებაზე ერთი ხელშეკრულების ფარგლებში წარმოდგენილია ნეტო სახით.

ვალდებულებები აღირცხული პროდუქციის დაბრუნების და მოცულობითი ფასდაკლებებით არ აკლდება სახელშეკრულებო ვალდებულებებს, ან აქტივებს, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ ცალკე მოლოდინს (მაგ. ნაღდი ფულის გადახდის მოლოდინი, შესრულების მოლოდინის საპირისპიროდ).

შპს „ეი ბი ემ“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართული ლარი)

ამის მსგავსად, ხელშეკრულების მოსაპოვებლად გაწეული დაკაპიტალიზირებული ხარჯები არ უნდა გაერთიანდეს სახელშეკრულებო აქტივებთან. ხელშეკრულების მოსაპოვებლად გაწეული დაკაპიტალიზირებული ზღვრული ხარჯები წარმოდგენილია, როგორც ცალკეული აქტივი და კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი აქტივი, თუ საწყისი საამორტიზაციო პერიოდი არ არის ერთ წელზე ნაკლები. ზოგადად, ხელშეკრულების მოსაპოვებლად გაწეული და დაკაპიტალიზირებული ხარჯების ამორტიზაცია წარმოდგენილია, როგორც გაყიდვების ხარჯი, მოგება-ზარალის ზოგად და ადმინისტრაციული ნაწილში.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, იმპორტის მოსაკრებლებს, არადაბრუნებად შესყიდვის გადასახადებსა და სხვა ხარჯებს რომლების პირდაპირ მიკუთვნებაცაა შესაძლებელი.

ძირითადი საშუალების იმ კომპონენტის ჩანაცვლების დანახარჯები, რომელიც აღიარებულია განცალკევებულად, კაპიტალიზდება ჩამოწერილი აქტივის საბალანსო ღირებულების სანაცვლოდ. სხვა შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მომავალში მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს გაწეული ხარჯების სანაცვლოდ. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება ხარჯად საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალებების გასვლისას, სხვაობა მიღებულ წმინდა ანაზღაურებასა და ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება მოგება ზარალში - „ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული მოგება(ზარალის)“ სახით.

ცვეთა

ცვეთა ერიცხება აქტივებს, რათა განაწილდეს მათი ღირებულება სასარგებლო მომსახურების ვადაზე. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ითვალისწინებს წრფივი მეთოდით ცვეთის ხარჯის დარიცხვას სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისთვის.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს „ეი ბი ემ“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართული ლარი)

სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)

შენობა-ნაგებობა	50
მანქანა-დანადგარი	3-10
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	3-20
საავტომობილო საშუალებები	15
იჯარის კეთილმოწყობა	7

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც კომპანია მიიღებდა აქტივების გასხვისებიდან, გამოკლებული გასხვისების სავარაუდო ხარჯები, თუ აქტივი უკვე ხანდაზმულია და იმყოფება მისი საექსპლუატაციო პერიოდის დასრულებისას მოსალოდნელ მდგომარეობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულება და საექსპლუატაციო ვადა გადაიხედება და თუ საჭიროა, კორექტირდება თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები, მათი პირველადი აღიარებისას, ფასდება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდეგ სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივი აღირიცხება შემენის ფაქტობრივი ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე. საამორტიზაციო პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი, არამატერიალური აქტივისთვის შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადით გადაიხედება სულ მცირე თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარდება მოგებაში-ზარალში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

მარაგები

მარაგები აღიარდება უმცირესი თანხით თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შესაძლო გასაყიდი ფასს გამოკლებული გაყიდვის დანახარჯები. მარაგების თვითღირებულება ფასდება საშუალო შეწონილი მეთოდით და მოიცავს მარაგების შესყიდვის ფასსა და მათ დანიშნულების ადგილზე მიტანისა და გამოყენებად მდგომარეობაში მოყვანის დანახარჯებს.

ყოველ საანგარიშო თარიღზე, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგები გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასამდე, გამოკლებული სარეალიზაციო ხარჯები და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

შპს „ეი ბი ემ“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართული ლარი)

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შევებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მოგების გადასახადი არის აგროსილი თანხის 15% (ანუ წმინდა დივიდენდი უნდა აიგროსოს დასაკავებელი თანხით (დარიცხული დივიდენდის 5%-ით), საჭიროების შემთხვევაში, და შემდეგ გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ საწარმოებზე განაწილების დროს. 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული მოგების დივიდენდის სახით გაცემა რეზიდენტ საწარმოებზე არის გათავისუფლებული გადასახადისაგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრის ჩათვლით მიღებული მოგების დივიდენდის სახით განაწილებაზე გამოანგარიშებული გადასახდელი მოგების გადასახადი მცირდება ამავე პერიოდების მიხედვით დეკლარირებული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხებით (ჩასათვლელი თანხებით), რომელიც არ უნდა აჭარბებდეს გასანაწილებელ დივიდენდზე მოქმედი კანონმდებლობით დარიცხულ მოგების გადასახადს. ჩასათვლელი თანხა გამოანგარიშება გასანაწილებელი დივიდენდის გამრავლებით 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადზე, რომელიც იყოფა 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი წმინდა მოგებისა და ამავე პერიოდის წმინდა მოგების ხარჯზე დივიდენდების სანაცვლოდ საწარმოს პარტნიორებზე გაცემულ აქციების/(წილის) ღირებულებას შორის სხვაობაზე. დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი უნდა გადახდილი იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არა-ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ქვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში მოგებს გადასახადის ნაცვლად, არასაოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი წამოიქმნება საქონლისა და მომსახურების კლიენტისათვის გადაცემისას, რომლის გადახდის ვალდებულება კომპანიას წარმოექმნება არა უგვიანეს ოპერაციის განხორციელების თვის მომდევნო თვის თხუთმეტი რიცხვისა. გადასახდელი დღგ მცირდება ჩასათვლელი (გადასახადის გადამხდელის უფლება შეიმციროს გადასახადები) დღგ-ს თანხებით ჩათვლის დოკუმენტის არსებობის პირობებში. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ კომპანიებს განეტონ დღგ-ს გადასახდელი და ჩასათვლელი თანხები. გაყიდვასთან ან შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხებით. როდესაც მოსალოდნელია დებიტორული დავალიანების გაუფასურება, გაუფასურების ხარჯი აღირიცხება ბრუტო თანხით, დღგ-ს ჩათვლით.

შპს „ეი ბი ემ“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართული ლარი)

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 - ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

- (ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებენ ან კონტროლდებიან, ან არიან საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანიები (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- (გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (ვ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს.
- (ზ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულმა მოვლენებმა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ ხდება. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლებში, საზოგადოდ, განსაზღვრულია ორი ტიპის მოვლენა:

- ა) მაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) არსებულ პირობებზე; და
- ბ) არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური ანგარიშგების თარიღის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) შემდგომ პერიოდში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულებების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურება

ჯგუფი რეგულარულად ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასების გადახედვას. ახალი ფასს 9-ს მიხედვით, გაუფასურების მოდელი მოითხოვს გაუფასურების რეზერვს ყველა რისკზე

ფინანსური ინსტრუმენტის წარმოქმნის მომენტიდან მისი თავდაპირველი აღიარების მომენტიდან მისი საკრედიტო რისკის გაუარესების მიხედვით. თუ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ფასს 9 მოითხოვს რეზერვს მომდევნო 12 თვის მანძილზე მოსალოდნელი დანაკარგებზე დაყრდნობით. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან/და თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის „გაუფასურებული“, სტანდარტი მოითხოვს რეზერვის შექმნას მისი სასიცოცხლო ვადის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მიხედვით.

იმის შეფასება, განიცადა თუ არა ფინანსურმა ინსტრუმენტმა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა განსხვავდება პროდუქტის და რისკის სეგმენტის მიხედვით. ჯგუფი აღნიშნული საკრედიტო რისკის განსასაზღვრად იყენებს საკუთარ მსჯელობას. დეტალური ინფორმაცია გაუფასურების რეზერვებზე მოცემულია შენიშვნა 26-ში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

ჯგუფი აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე. სასარგებლო გამოყენების ვადა გადაიხედება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და დაშვებაში ცვლილების საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი განახლება.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

ჯგუფი შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. კომპანია განიხილავს არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას თუ არა, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

მარაგების მნიშვნელოვანი დაშვებები

მარაგები მოცემულია ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით და კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იყენებს მსჯელობას და დაშვებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ფასის განსასაზღვრად.

მარაგების ხანდაზმულობის ვადის გამო, ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას ვადაგასული და „ნელა მოძრავ“ მარაგებზე და შემდეგ ჩამოწერს მარაგების ღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. წმინდა სარეალიზაციო

შპს „ეი ბი ემ“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართული ლარი)

ღირებულების განსაზღვრა ძირითადად დამოკიდებულია კონკრეტული დროის პერიოდში მოსალოდნელ მომავალ მოთხოვნაზე.

5. ახალი ფასს-ების მიღება

ახალი სტანდარტები, რომლებმაც გამოიწვიეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და რომლის საფუძველზეც მომზადებულია 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქვემოთ:

- ფასს 16 იჯარა
- IFRIC 4 განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას
- SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება
- SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას

ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებსა და შესწორებებს, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან ან გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული არ გააჩნიათ გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე, რადგან არ არის კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ან არ შეესაბამება კომპანიის მიმდინარე სააღრიცხვო პოლიტიკას.

ცვლილებები ფასს 9-ში: „საავანსო გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით“ - ფასს 9-ის მიხედვით, სავალო ინსტრუმენტი შეიძლება შეფასდეს ან ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იმ პირობით, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხის და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდას“ („SPPI კრიტერიუმი“) და რომ ინსტრუმენტი ამ კლასიფიკაციის შესაბამისი ბიზნესმოდელის ფარგლებშია ფლობილი. ფასს 9-ში შესული ცვლილებები განმარტავს, რომ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს SPPI კრიტერიუმს მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ისეთი მოვლენა ან გარემოება, რომელიც იწვევს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას და განურჩევლად იმისა, თუ რომელი მხარე იხდის ან იღებს გონივრულ კომპენსაციას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისთვის.

ცვლილებები გამოყენებული უნდა იქნეს რეტროსპექტულად და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. ეს ცვლილებები არ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6. ამონაგები

	2,021	2,020
შემოსავალი რეალიზაციიდან	52,820,223	48,387,028
გაყიდული საქონელი დაბრუნება და ფასდათმობა	(35,423,188)	(33,937,746)
სულ	14,456,778	14,449,282

შპს „ეი ბი ემ“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართული ლარი)

7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2,021	2,020
ძირითადი მასალების დანახარჯები/შემენა	-	9,860
ცვეთა და ამორტიზაცია	163,666	155,566
სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება	180,674	127,457
რეკლამის ხარჯები	598	165
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	15,614	5,859
მიწოდების სხვა ხარჯები	1,812	50
შრომის ანაზღაურება	7,854,644	3,578,705
სოციალური დანარიცხები	37,074	25,944
საიჯარო ქირა	118,957	69,560
კომუნიკაციის ხარჯები	25,677	53,653
კომუნალური ხარჯები	12,331	1,895
დაზღვევა	17,374	16,178
სამივლინებო ხარჯები	19,077	10,286
რემონტი	255,586	10,310
კომპიუტერის ხარჯები	2,867	3,006
საკონსულტაციო ხარჯები	162,165	37,017
სხვა საგადასახადო ხარჯი	487,501	109,832
უსაბუთო	8,262	169
საბანკო მომსახურება	48,242	316,807
სხვა საერთო ხარჯი	159,039	43,491
წარმომადგენლობითი ხარჯი	8,261	11,177
სამივლინებო ხარჯი	69,394	3,995
სულ	9,648,816	4,590,983

8. ფინანსური შემოსავალი

	2021	2020
საპროცენტო შემოსავლები	15,285	12,156
სულ	15,285	12,156

9. ფინანსური ხარჯი

	2021	2020
საპროცენტო ხარჯები	416,809	424,290
სულ	416,809	424,290

შპს „ეი ბი ემ“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართული ლარი)

10. სხვა ხარჯები

	2021	2020
არასაოპერაციო ზარალი	593,309	1,248,357
გაუფასურების ხარჯი	-	548,990
კონვერტაციის ხარჯი	97,992	168,887
ჯარიმები	96	70,038
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	300,430	6,473
სულ	991,827	2,042,745

შპს „ეი ბი ემ“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართული ლარი)

11. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნები	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2019	757,639	93,106	6,975	28,768	886,487
შემოსვლა	281,780	32,802	27,619	263,234	605,434
გასვლა	-	(5,138)			(5,138)
ცვეთა და გაუფასურება	(44,992)	(69,007)	(6,805)	(34,603)	(155,407)
31 დეკემბერი 2020	994,427	51,762	27,788	257,398	1,331,375
შემოსვლა	-	48,424	61,890	199,582	309,896
გასვლა	(934,500)	-	-	(8,293)	(942,793)
ცვეთა და გაუფასურება	(59,926)	(22,646)	(8,129)	(72,806)	(163,507)
31 დეკემბერი 2021	-	77,541	81,550	375,881	534,971

შპს „ეი ბი ემ“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართული ლარი)

12. არამატერიალური აქტივები

	სულ
31 დეკემბერი 2019	1,511
შემოსვლა	-
გასვლა	-
ცვეთა და გაუფასურება	159
31 დეკემბერი 2020	1,352
შემოსვლა	-
გასვლა	-
ცვეთა და გაუფასურება	159
31 დეკემბერი 2021	1,193

13. მარაგები

	2021	2020
საქონელი	7,378,515	3,811,451
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	1,526	2,486
სულ	7,380,041	3,813,937

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021	2020
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	17,807,801	9,129,845
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	400	-
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	660,875	604,655
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	-	2,148
დაბეგრილი ავანსი	75,784	32,094
სულ	18,544,860	9,768,743

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2021	2020
ოფისის სალარო	2,226,505	44,002
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	714,919	1,301,771
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	12,345	8,021
საგარანტიო თანხა	8,400	195,931
სულ	2,962,170	1,549,726

შპს „ეი ბი ემ“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართული ლარი)

16. მიღებული გრძელვადიანი სესხები

	2021	2020
გრძელვადიანი სესხები	3,402,121	2,915,403
სესხები პარტნიორებისგან	-	500,000
სულ	3,402,121	3,415,403

17. საფაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2021	2020
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	13,571,784	2,833,838
მიღებული ავანსები	555,698	1,714,684
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	3,344	-
სულ	14,130,826	4,548,522

18. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელსაც მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

19. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

ფინანსური რისკი მოიცავს **საბაზრო** რისკს (მათ შორის სავალუტო, საპროცენტო და საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე **საკრედიტო** რისკებს და **ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს**. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ აქვს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები.

შპს „ეი ბი ემ“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართული ლარი)

საბაზრო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანია არ იყენებს რაიმე წარმოებულ ფასიან ქაღალდებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, როდესაც კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეულ ნაწილს ფიქსირებულ განაკვეთი აქვს და შესაბამისად, რისკი არის შეზღუდული.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიის აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში.

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალი მოიცავს ჩვეულებრივ საწესდებო კაპიტალს და დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება/ზარალი. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მისი როლი, როგორც კორპორატიული ხელმძღვანელების, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კაპიტალის შენარჩუნებაზე და ზრდაზე, ასევე მფლობელებისთვის ადეკვატური შემოსავლის მიღებაზე.

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს კომპანიის დამფუძნებლებისთვის სარგებლის მოტანა;

შპს „ეი ბი ემ“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართული ლარი)

ჯგუფი განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. ის მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

20. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. 2018 წლის 5 მაისს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილებები და თარიღმა გადაიწია 2023 წლის იანვრამდე. ახალი რეგულაციის თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე დასარიცხი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებულ თანხაზე ($1/85\% \cdot 15\%$) ოდენობის დარიცხვით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდის განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

შპს „ეი-ბი ემ“

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

ჯგუფის შესახებ

შპს „ეი-ბი ემ“, ს.ნ. 404917328 არის 2011 წლის 7 ნოემბერს დაფუძნებული კომპანია. კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება“. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. 18, ბ. 16.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: სამედიცინო აპარატურის იმპორტი და რეალიზაცია; ლაბორატორიის სახარჯი მასალების იმპორტი და რეალიზაცია.

კომპანიის დამფუძნებლები (მესაკუთრეები) არიან იურიდიული პირი და ფიზიკური პირები: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ი.მ.ჯ. -33.4%, ალექსანდრე ხეთერელი-33.3%, ალონ ეშედი (ისრაელი)-33.3%.

კომპანიის დირექტორს წარმოადგენს ალექსანდრე ხეთერელი.

შპს „ეი-ბი ემ“-ს შექმნილი აქვს შვილობილი კომპანია-შპს „ფორჯენიქსი“, ს.ნ. 405492603, სადაც დედა კომპანია ფლობს 100% წილს. შპს „ფორჯენიქსის“ დირექტორია ასევე ალექსანდრე ხეთერელი.

შპს „ფორჯენიქსი“ დაფუძნდა 2021 წლის 15 ნოემბერს. მისი საქმიანობის სფერო ზუსტად ანალოგიურია, რაც დედა კომპანიის.

კომპანია „ეი ბი ემ“ (ABM) ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი და საიმედო კომპანიაა, რომელიც 2011 წლიდან, მსოფლიოში წამყვანი ამერიკული კომპანიის Thermo Fisher Scientific-ის წარმომადგენელია საქართველოს ლაბორატორიული ტექნიკის, კვლევითი და სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების ბაზარზე.

კომპანია თანამედროვე აღჭურვილობის, რეაგენტებისა და სახარჯი მასალების მიწოდების მიმართულებით ლიდერია საქართველოს ბაზარზე. კომპანია მომხმარებლებს გენომიკის, პროტეომიკის, უჯრედული ტექნოლოგიების, ვეტერინარული მედიცინის, სურსათის უვნებლობის,

კლინიკური დიაგნოსტიკის, ბიოფარმაცევტული საშუალებებისა და კრიმინალისტიკის სფეროში უწევს მომსახურებას.

კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს საიმედო პარტნიორობას, პროფესიონალურ მხარდაჭერას, უფასო ტრენინგებსა და პროდუქციის დროულად მიწოდებას. ჩვენთან თანამშრომლობით ჩვენს კლიენტებს საშუალება აქვთ გადაჭრან კომპლექსური ამოცანები მაქსიმალურად ეფექტურად და მინიმალური დანახარჯებით.

მწარმოებელ კომპანიებთან გრძელვადიანი და სტაბილური ურთიერთობა გვაძლევს საშუალებას, მომხმარებლებს შევთავაზოთ პროდუქციის ფართო ასორტიმენტი.

საქართველოს ბაზარზე შპს “ეი-ბი ემ” წარმოადგენს კომპანია Thermo Fisher Scientific-ს, რომელიც მსოფლიო ლიდერი კომპანიაა სამეცნიერო სფეროში. კომპანია მომხმარებელს საშუალებას აძლევს გააუმჯობესონ სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების დარგში მიმდინარე კვლევები,

გაუმკლავდნენ კომპლექსურ ანალიტიკურ გამოწვევებს, გააუმჯობესონ პაციენტთა დიაგნოსტიკის, პრეპარატებით უზრუნველყოფის შესაძლებლობები და გაზარდონ ლაბორატორიების პროდუქტიულობა.

Thermo Fisher Scientific თავის მხრივ აერთიანებს რამოდენიმე სხვადასხვა ბრენდს, მათ შორის:

- Thermo Scientific
- Applied Biosystems
- Invitrogen
- Fisher Scientific
- BRAHMS
- Ion Torrent
- One Lambda
- Unity Lab Service

პანდემიის პერიოდში გაორმაგდა იმ ლაბორატორიების რაოდენობა, რომელსაც ვუწევთ ინჟინრულ და ტექნიკურ მხარდაჭერას. „ეი ბი ემ“ საქართველოში COVID-19-ის სადიაგნოსტიკო ტესტ-სიტემების ყველაზე მსხვილი შემომტანი გახდა. სწორედ ჩვენი კომპანიის დახმარებით აღიჭურვა 20-მდე ახალი ლაბორატორია, რომელიც სრულად დაიტვირთა COVID-19-ის სადიაგნოსტიკო PCR ტესტებით. ასევე, უკვე არსებული ლაბორატორიების დიდი ნაწილი გადაეწყო ამ მიმართულებაზე სამუშაოდ.

ლაბორატორიების აღჭურვის პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- **ლაბორატორიების დაკომპლექტება:** ლაბორატორიის დაგეგმარება, შესაბამისი აპარატურის შერჩევა, ლაბორატორიაში თანამშრომლების ტრენინგი
- **ტესტ-სისტემებით მომარაგება:** ტესტ-სისტემები განკუთვნილია ინფექციური, გენეტიკური, სქესობრივად გადამდები დაავადებების კვლევისთვის.
- **პროექტის ფარგლებში თანამშრომლების ტრენინგი და მხარდაჭერა**

ABM იცავს შესაბამის საერთაშორისო წესდებებსა და პროფესიული ეთიკის კოდექსების ნორმებს.

კომპანია მუშაობს ISO 9001, ISO 17025 საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით.

კომპანიას გააჩნია GDP სტანდარტებით მოწყობილი საწყობიც.







ჩვენი პროექტები

- რეიძანის გენეტიკური ლაბორატორია დაკომპლექტდა Thermo Fischer Scientific-ის უახლესი აპარატურით (Ion GeneStudio S5 System), რომლის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს მოლეკულური დიაგნოსტიკის მეთოდის გამოყენებით პრენატალური და პოსტნატალური დიაგნოსტიკა.



Ion GeneStudio S5 System

- „ნიუ ვიჟენ“ უნივერსიტეტის ბაზაზე დაარსებული ლაბორატორია „პრაიმ ლაბი“ დაკომპლექტდა Thermo Fischer Scientific-ის წარმოების ახალი თაობის სექვენირებისა (NGS) და კაპილარული სექვენირების აპარატურით (Sanger Sequencing). მათი მეშვეობით შესაძლებელია სიმსივნური პათოლოგიების იდენტიფიცირება გენეტიკურ დონეზე.



NGS

- პირველად საქართველოში, საჩხერის სამედიცინო ცენტრში გაეშვა თანამედროვე ტიპის გერმანული აპარატურა (AID iSpot READER), რომლითაც შესაძლებელია განისაზღვროს T უჯრედების ციტოკინური აქტივობა კონკრეტულ დაავადებასა თუ ინფექციაზე.



AID iSpot READER

საჩხერის სამედიცინო ცენტრში განხორციელდა ინოვაციური პროექტი, რის მეშვეობითაც რეგიონისა და ქვეყნის მასშტაბით ხელმისაწვდომი იქნება ბიოანალიტიკური კვლევების განხორციელება კლინიკურ სექტორში. პროექტის ფარგლებში კლინიკაში დაინერგა

LC-MS/MS-სა (სითხური ქრომატოგრაფი, ტანდემური სამ კვადროპოლიანი მას სპექტომეტრით) და ICP-MS-ზე (ინდუქტიურად შეწყვილებული პლაზმური მას სპექტომეტრი) განხორციელებული ბიოანალიტიკური კვლევები, რომელიც პაციენტებს სთავაზობს უმაღლესი სენსიტიურობით და სიზუსტით ჩატარებულ ბიოანალიტიკურ კვლევის შედეგებს.

- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ქიმიურ-ნარკოლოგიურ ექსპერტიზის დეპარტამენტში დაინერგა გაზური ქრომატოგრაფი ტანდემური სამ კვადროპოლიანი მასსპექტომეტრული მეთოდი, რომელიც იძლევა უსაზღვრო შესაძლებლობას ნარკოლოგიური და ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ ბიუროს ამავე დეპარტამენტში დაინერგა ინდუქტიურად შეწყვილებულ პლაზმურ ემისიურ ოპტიკური სპექტომეტრი (ICP-OES).



TSQ 9000

- უჯრედული ონკოლოგიის ცენტრში გაეშვა ატომურ აბსორციული სპექტომეტრი და სითხური ქრომატოგრაფი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა მიმართულების კვლევებისთვის ონკოლოგიურ პაციენტებში.



ICE 3500

- გაგუას კლინიკის სამშობიარო ბაზაზე დაპროექტდა და აღიჭურვა ხელოვნური განაყოფიერების IVF ლაბორატორია.



Olympus IX73



Heracell™ 150i CO 2 Incubator

- შიდსის ცენტრის ლაბორატორიაში ამოქმედდა ახალი თაობის სექვენირების აპარატი. ვინაიდან ცენტრის ძირითადი მიზანია პათოგენებისა და ინფექციების კვლევა დაწესებულების ძირითად მიზანს წარმოადგენს კორონა ვირუსის სექვენირება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ახალი შტამების გამოვლენა.
- ლუი პასტერის სახელობის ლაბორატორიაში გაეშვა ახალი თაობის სექვენირების აპარატი, რომლის მიზანს წარმოადგენს მედიკამენტების კვლევა მოლეკულურ დონეზე (სიმსივნის და კორონა ვირუსის სამკურნალო მედიკამენტი).

კომპანია ეი-ბი ემ-ს სამომავლოდ აქვს შემდეგი გეგმები, რაც გულისხმობს

Strategy: სტრატეგია - გულისხმობს ორგანიზაციის სტრატეგიის ადაპტაციას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით რეალიზებად უპირატესობებზე, როგორც ბიზნეს პროცესების მოდერნიზაციის, ასევე ინფორმაციის შეკრებისა და ანალიზის კუთხით;

Structure: სტრუქტურა - გულისხმობს სტრუქტურულ ოპტიმიზაციას ერთი მხრივ, რუტინული პროცესების ავტომატიზაციის შესაბამისად, ხოლო მეორე მხრივ, დიგიტალიზაციის ამოცანებისათვის შესაბამისი რესურსების გამოყოფით

Systems: სისტემები - აერთიანებს ორგანიზაციის ბიზნეს-პროცესებს და ყველა იმ ტექნიკურ გადაწყვეტილებებს (მათ შორის საინფორმაციო სისტემებს), რომლებიც ამ პროცესების ორგანიზაციას და ეფექტიან განხორციელებას ემსახურება. შესაბამისად, სისტემების ოპტიმიზაცია თანაბრად ეხება როგორც პროგრამული პროდუქტების, ასევე ბიზნეს-პროცესების სრულყოფას.

Shared Values: საერთო ღირებულებები - მოიცავს ორგანიზაციის არსებობისა და ოპერირების ძირითად პრინციპებს.

Staff: პერსონალი - შეადგენს ნებისმიერი ტრანსფორმაციის მამოძრავებელ (ან პირიქით, შემაფერხებელ) ძალას. კომპანიის თანამშრომლების ჩართულობა და სამიზნე შედეგების "გათავისება" ძალიან მნიშვნელოვანია წარმატების მიღწევისა და შემდგომი მდგრადობისათვის.

Skills: უნარები - ციფრული ტრანსფორმაცია უაღრესად სპეციფიური პროცესია, რომელიც მოითხოვს არა მარტო სურვილს და ჩართულობას, არამედ ახალი უნარების შეძენის და გამოყენების მზაობას. მეტიც, თუ ტრანსფორმაციამ არ შემოიტანა ახალი ამოცანები და ახალი უნარების საჭიროება, ის მცდარი იყო ან დაგეგმვის, ან განხორციელების პროცესში.

დირექტორი ალექსანდრე ხეთერელი

01 სექტემბერი 2022 წელი

- შიდსის ცენტრის ლაბორატორიაში ამოქმედდა ახალი თაობის სექვენირების აპარატი. ვინაიდან ცენტრის ძირითადი მიზანია პათოგენებისა და ინფექციების კვლევა დაწესებულების ძირითად მიზანს წარმოადგენს კორონა ვირუსის სექვენირება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ახალი შტამების გამოვლენა.
- ლუი პასტერის სახელობის ლაბორატორიაში გაეშვა ახალი თაობის სექვენირების აპარატი, რომლის მიზანს წარმოადგენს მედიკამენტების კვლევა მოლეკულურ დონეზე (სიმსივნის და კორონა ვირუსის სამკურნალო მედიკამენტი).

კომპანია ეი-ბი ემ-ს სამომავლოდ აქვს შემდეგი გეგმები, რაც გულისხმობს

Strategy: სტრატეგია - გულისხმობს ორგანიზაციის სტრატეგიის ადაპტაციას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით რეალიზებად უპირატესობებზე, როგორც ბიზნეს პროცესების მოდერნიზაციის, ასევე ინფორმაციის შეკრებისა და ანალიზის კუთხით;

Structure: სტრუქტურა - გულისხმობს სტრუქტურულ ოპტიმიზაციას ერთი მხრივ, რუტინული პროცესების ავტომატიზაციის შესაბამისად, ხოლო მეორე მხრივ, დიგიტალიზაციის ამოცანებისათვის შესაბამისი რესურსების გამოყოფით

Systems: სისტემები - აერთიანებს ორგანიზაციის ბიზნეს-პროცესებს და ყველა იმ ტექნიკურ გადაწყვეტილებებს (მათ შორის საინფორმაციო სისტემებს), რომლებიც ამ პროცესების ორგანიზაციას და ეფექტიან განხორციელებას ემსახურება. შესაბამისად, სისტემების ოპტიმიზაცია თანაბრად ეხება როგორც პროგრამული პროდუქტების, ასევე ბიზნეს-პროცესების სრულყოფას.

Shared Values: საერთო ღირებულებები - მოიცავს ორგანიზაციის არსებობისა და ოპერირების ძირითად პრინციპებს.

Staff: პერსონალი - შეადგენს ნებისმიერი ტრანსფორმაციის მამოძრავებელ (ან პირიქით, შემაფერხებელ) ძალას. კომპანიის თანამშრომლების ჩართულობა და სამიზნე შედეგების "გათავისება" ძალიან მნიშვნელოვანია წარმატების მიღწევისა და შემდგომი მდგრადობისათვის.

Skills: უნარები - ციფრული ტრანსფორმაცია უაღრესად სპეციფიური პროცესია, რომელიც მოითხოვს არა მარტო სურვილს და ჩართულობას, არამედ ახალი უნარების შეძენის და გამოყენების მზაობას. მეტიც, თუ ტრანსფორმაციამ არ შემოიტანა ახალი ამოცანები და ახალი უნარების საჭიროება, ის მცდარი იყო ან დაგეგმვის, ან განხორციელების პროცესში.

დირექტორი ალექსანდრე ხეთერელი
01 სექტემბერი 2022 წელი

